სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

30/06/2025

MES 6 25 0000786751

სსიპ –საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის მე-4 მუხლის და სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის N01-05-04/111 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) ფარგლებში ვაკანტური ადგილების რაოდენობა და პირობები ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად.
2. სტუდენტთა შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს, ზ.ბუაჩიძეს.
3. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 - 2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადებით (დანართი 2, 3) უნდა მიმართონ შესაბამის ფაკულტეტს 2025 წლის 7 ივლისიდან 11 ივლისის ჩათვლით.
4. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.

5. დაევალოს ფაკულტეტებს 2025 წლის 16 ივლისამდე უზრუნველყონ შიდა მობილობაზე დარეგისტრირებულ პირთა სიის (დანართი 4) წარდგენა სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში.
6. ფაკულტეტის მიერ ,,სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ“ დასკვნების მომზადება (დანართი 5), მობილობის მსურველთათვის შედეგების გაცნობა და მათი წერილობითი თანხმობის შედეგად უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 6) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარდგენის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 25 აგვისტომდე;
7. 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2025 წლის 1 სექტემბრისა;
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს თ.წერეთელს;
9. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი